

მეორადი ტრავმატიზაცია და პროფესიული გადაწვა

თეკლა ლათიბაშვილი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე
ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მახაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეკლა ლათიბაშვილი

06/07/2015

აბსტრაქტი

საერთაშორისო კვლევები, რომელიც ფოკუსირებულია ფსიქოტრავმის სპეციელისტების პროფესიული ცხოვრების ხარისხის კვლევაზე, გამოყოფს მეორადი ტრავმატული სტრესისა და პროფესიული გადაწვის ფენომენების კვლევის აქტუალობას.

რადგანაც საქართველოში მსგავსი კვლევა არ ჩატარებულა, ამ კვლევის მიზანი იყო განესაზღვრა ტრავმა სპეციალისტების პროფესიული ცხოვრების ხარისხის დონე და დაედგინა მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორების კავშირი მეორადი ტრავმატული სტრესისა და გადაწვის ფენომენებთან.

სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს ყველა ის პროფესიონალი, ვინც მუშაობს ტრავმირებულ პოპულაციასთან. დაკავშირება მოხდა იმ ორგანიზაციებთან ვის სამიზნე ჯგუფსაც წარმოადგენს ტრავმის მქონე ადამიანები. ხელმძღვანელ პირებთან შეთახმებით კითხვარი დაეგზავნა სპეციალისტებს ელექტრონულ ფოსტაზე. შემდეგ კი განხორციელდა მონაცემების რაოდენობრივი ანალიზი.

კვლევის შედეგები ეხმიანება საერთაშორისო კვლევების დასკვნებს იმ რისკ-ფაქტორებთან დაკავშირებით, რაც საერთაშორისოდ აღიარებულია. კერძოდ, შედეგებზე დაყრდნობით დადგინდა ტრავმასთან მომუშავე სპეციალისტებისათვის, ძირითად რისკ-ფაქტორებსა და პროფესიული ცხოვრების ხარისხის უაროფით ეფექტებს შორის კავშირი. კერძოდ, გამოვლინდა კორელაცია ემპათიისა და გადაწვას შორის, ასევე ემპათიასა და მეორად ტრავმატულ სტრესს შორის. ასევე

გამოიკვეთა კავშირი მეორად ტრავმატულ სტრესსა და პროფესიულ გადაწვას შორის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პროფესიული ცხოვრების ხარისხი, მეორადი ტრავმატიზაცია, პროფესიული გადაწვა, ემპათია.

Abstract

International researches, focused on the professional life quality researches of psycho traumatic specialists, stands out the urgency of secondary traumatic stress and professional burnout phenomena research.

Subject to the fact that such research has never been carried out in Georgia the above research aims at defining the professional life quality level of traumatic specialists and finding important risk factors' liaison with the secondary stress and burnout phenomenon.

For target group were chosen all those professionals from psychological health field who work with traumatic population. All organizations dealing with such traumatic people have been contacted, on agreement with the chairpersons; all specialists received questionnaires on their emails, after which the quantitative analysis of data was carried out.

The research result reflects international researches' conclusions on account of internationally recognized risk factors. Namely, based on the results, the link between the basic risk factors and professional life's quality negative effects for the specialists working with trauma, correlation between empathy and burnout, also between empathy and secondary traumatic stress has been revealed. The relation between traumatic stress and professional burnout has also been defined.

Key Words: professional quality of life, secondary traumatic stress, burnout, empathy.

მადლობა

მადლობას ვუხდით საკვლევი თემის ხელმძღვანელს ქ-ნ ნინო მახაშვილს დახმარებისა და რეკომენდაციებისათვის. ასევე ქ-ნ ლელა ცისკარიშვილს კვლევის ჩასატარებლად გაწეული დახმარებისთვის.